მხოლოდ ერთი ბურთი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 25 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (ქუთაისი) 1:0 (1:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.

“ტორპედო”: ურუშაძე, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტივაძე, სიამაშვილი, ავალიანი, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, სარჯველაძე, ხერხაძე.

მსაჯი: ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

თბილისელთა პირველი ძლიერი იერიშების შემდეგ ტორპედოელებმა გაათანაბრეს თამაში და მე-14 წუთზე მიიღეს საჯარიმო დარტყმის უფლება. ხერხაძემ მეტოქეთა კედელში მოძებნა დერეფანი და უძლიერესი დარტყმით ბურთი კარის კუთხეში გაგზავნა. მხოლოდ კოტრიკაძის საუცხოო ნახტომმა იხსნა “დინამო” აშკარა გოლისაგან.

მე-17 წუთზე მეტრეველმა მიიღო გადაცემა მინდვრის სიღრმიდან, სწრაფად დაამუშავა ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი ურუშაძის კარში, რომელიც ამ მომენტში წინ იყო გამოსული - 1:0. 31-ე წუთზე კუტივაძემ მარჯვენა ფლანგიდან კარგად ჩამოაწოდა ცენტრში და ჩხარტიშვილის მიერ თავით ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ქუთაისელთა კარში გოლის გატანის ორი ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენეს დინამოელებმა აფშევმა და დათუნაშვილმა.

მეორე ტაიმში თამაშმა დაკარგა სიმწვავე. სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განავითარეს, მაგრამ მათი თავდამსხმელები დიდხანს უნდებოდნენ ბურთის დამუშავებას, გარდა ამისა, კარგად ითამაშა “დინამოს” დაცვამ (ცხოვრებოვი, ზეინკლიშვილი და სხვ.).

მეტრეველის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში - 1:0.

“ლელო”, 26 ივლისი, 1964 წ.